დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი“

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი - 21.05.2024 - 22.05.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი - 22.05.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 18

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხაბეიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Architectural Lighting and Color Design
უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინის მაგისტრი Master of Architectural Lighting and Color Design
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება / Architecture and Town Planning (0731.2.1 არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინი / Architectural Lighting and Color Design)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	132
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №315, 08/09/2012
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	გამოცდა უცხო ენაში (BII დონე). სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების უნარების შეფასება ხდება წარმოადგენილი პორტფოლიოთი და თანდართული დოკუმენტებით (CV, მოტივაციის წერილი, დახასიათება)

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ (შემდგომში - დაწესებულება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი“ (შემდგომში - პროგრამა) წარმოდგენილ იქნა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული გარემოებების შესწავლის, ასევე საგანმანათ-ლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები. აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და რეკომენდაციები და მიიღო გადაწყვეტილება დაევალოს დაწესებულებას პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს საბჭოს სხდომის ოქმში (MES 8 24 0000145746, 12/02/2024) მოცემული <u>რეკომენდაციები</u>:

1. რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, მათი ფორმულირების შეცვლა ან დალაგება კატეგორიების შესაბამისად.
2. რეკომენდებულია, პროგრამის „სწავლის შედეგების“ რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსი და მათი როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).
3. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს კურსზე „დაშვების წინაპირობები“.
4. რეკომენდებულია ყოველი კონკეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნის განსაზღვრა.
5. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება.
6. რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები.
7. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „მასალათმცოდნეობა“ სწავლის შედეგები დაკორექტირდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის ჭრილში.
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება.
9. რეკომენდებულია რიგ შემთხვევაში არასწორად მითითებული შეფასების სისტემა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან (შეფასება (D) ნაცვლად „საშუალო“ მიეთითოს „დამაკმაყოფილებელი“; შეფასება (E) - ნაცვლად „დამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „საკმარისი“, შეფასება FX) - ნაცვლად „არადამაკმაყოფილებელი” მიეთითოს „ვერ ჩააბარა“).
10. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ჩანაწერები - უარყოფითი (FX) შეფასების შემთხვევაში „ხელახლა გამოცდაზე“ გასვლის უფლების ნაცვლად მიეთითოს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.
11. რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში და „ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში“ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ მკაფიოდ მიეთითოს შეფასების სისტემა,

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მათ შორის დადებითი და უარყოფითი შეფასებები, მათი ქულობრივი მაჩვენებლები და წესი, რომლებიც მოქმედებს თითოეული უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში;

12. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის (პროექტის) შეფასებისთვის განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიეთითოს მისი გავლენა დასკვნითი შეფასების მიღებაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (MES 0 24 0000403084, 06/04/2024) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (ნინო ხაბეიშვილი, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ ცენტრში წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი“ და თანდართული დოკუმენტების შესწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების (ოქმი MES 8 24 0000145746, 12/02/2024) შესრულების შეფასების მიზნით, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა (დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“, საგანმანათლებლო პროგრამა (აღწერილობა) და სილაბუსები, დოკუმენტები „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი“, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV და დიპლომი, დაწესებულების აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი (#42, 06.03.2024) და ამონწერი არქიტექტურის ფაკულტეტის გაერთიანებულის საბჭოს სხდომის ოქმიდან (#10, 04.03.2024), ხელშეკრულება და მემორანდუმი შპს „ერდო“-სთან,), რომელიც ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი მოხდა მოსაზრებების და მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და წინამდებარე დასკვნის ჩამოყალიბება. ექსპერტებმა განიხილეს აკრედიტეციის საბჭოს მიერ გაცემული სავალდებულო ხასიათის რეკომენდაციების და არასავალდებულო რჩევების შესრულების საკითხი (დაწესებულებამ წარმოადგინა რჩევების შესრულების აღწერა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები). რეკომენდაციების შესრულების შეფასებისათვის განხილულ იქნა მხოლოდ იმ სტანდარტებთან (ქვესტანდარტებთან) შესაბამისობა, რომლებსაც ეხებოდა გაცემული რეკომენდაციები.

დაწესებულების მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციების შესრულების შედეგები წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის აღწერა-შეფასების ნაწილში. ასევე წინამდებარე დოკუმენტში აისახა დაწესებულების მიერ პროგრამის განვითარების მიზნით გათვალისწინებული რჩევები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წინამდებარე შეფასების შედეგები:

<u>I სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

<u>II სტანდარტი</u> - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

2.4. სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

უკვე განხორციელებული (აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 8 24 0000145746, 12/02/2024) და წინამდებარე შეფასების შედეგების შეჯამებით:

<u>I სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>II სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4 სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>IV სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  2.4.

  - რეკომენდებლია სასწავლო კურსის „თანამედროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები“ სილაბუსში მითითებული შეფასების სისტემა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან (შეფასება (D) ნაცვლად „საშუალო“ მიეთითოს „დამაკმაყოფილებელი“; შეფასება (E) - ნაცვლად „დამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „საკმარისი“, შეფასება (FX) - ნაცვლად „არადამაკმაყოფილებელი” მიეთითოს „ვერ ჩააბარა“).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  1.2

  - მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების აღწერა მოხდეს ისეთი ფორმით (ისეთი აქტიური ზმნების გამოყენებით), რომელიც ხელს შეუწყობს ამ შედეგების გაზომვადობას.

  1.4.

  - მიზანშეწონილია კურიკულუმში გასწორდეს გამოვლენილი უზუსტობა - „სამაგისტრო პროგრამის ზოგადი დახასიათების“ ველში „ვიწრო სფერო 0731 არქიტექტურა და მშენებლობა“ - ინგლისური დასახელება დასაკორექტირებელია.

  1.5.

  - მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში „დაშვების წინაპირობების“ დაზუსტების მიმართულებით.
  - მიზანშეწონილია დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „არქიტექტურული განათება 1“ მიზანი.
  - მიზანშეწონილია, კურსის შინაარსზე დაყრდნობით დაკორექტირდეს სასწავლო კურსის “არქიტექტურის თეორია, მეცნიერება და კრიტიკა”-ს სწავლის შედეგები.
  - მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.
  - მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული კრედიტების რაოდენობა სრულ თანხვედრაში მოვიდეს კურიკულუმის მიხედვით კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობასთან.

  2.4.

  - მიზანშეწონილია კურიკულუმში („სამაგისტრო ნაშრომის შეფასება“) და დოკუმენტში „საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი“ გაუქმდეს უარყოფითი შეფასებების განმარტებები,

რომლებიც გამოიყენება სასწავლო კომპონენტების შეფასების შემთხვევაში (მაგ., FX - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F - სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი);

- მიზანშეწონილია გაგრძელდეს სილაბუსების რევიზია, რათა სრულად გამოირიცხოს უზუსტებები და ყველა სილაბუსში შეფასებასთან დაკავშირებით იყოს მითითებული იდენტური განმარტებები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

„არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი“-ს სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებაში, ექსპერტთა დასკვნის პროექტის თაობაზე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არგუმენტირებულ პოზიციის თანახმად დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რჩევებს, აღნიშნავს რომ პროგრამის განვითარებაზე და სრულყოფაზე ორიენტირებული რჩევები კონსტრუქციულია და მათი ნაწილი უკვე შესრულებულია პროგრამის წარდგენიდან გასულ პერიოდში.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას გაეცნოს რეკომენდაციისა და რჩევების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, შეფასებები რჩება უცვლელად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რეკომენდაცია #01</u> – რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, მათი ფორმულირების შეცვლა ან დალაგება კატეგორიების შესაბამისად.

დოკუმენტის „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“ თანახმად: „მოხდა სწავლის შედეგების გადახედვა და სწავლის შედეგები ჩამოიწერა გადანომრვის სახით“, რაც დასტურდება პროგრამის კურიკულუმით (იხ.: „სწავლის შედეგი და კომპეტენცია (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები”). ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, ასევე, „მოხდა სწავლის შედეგების ფორმულირების შეცვლა“. თუმცა, შემდგომში მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს შედეგების გაზომვადობის საკითხზე - იგულისხმება, მაგ., ნაცვლად „აცნობიერებს“ (შედეგები #1, 2, 3), „იცნობს და იაზრებს“ (შედეგი #5), „იცის“ (შედეგი #8), ისეთი აქტიური ზმნების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ შედეგების გაზომვადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების აღწერა მოხდეს ისეთი ფორმით (ისეთი აქტიური ზმნების გამოყენებით), რომელიც ხელს შეუწყობს ამ შედეგების გაზომვადობას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რეკომენდაცია #02</u> – რეკომენდებულია, „სწავლის შედეგების შეფასების“ რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

პროგრამის კურიკულუმის (იხ.: „სამაგისტრო პროგრამის შედეგების რუკა - შედეგების რუკა 1 - დისციპლინები და შედეგები“) მიხედვით რეკომენდაცია შესრულებულია.

<u>რჩევა #01</u> - მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში, „სწავლის შედეგების შეფასებაში“ მკაფიოდ ჩაიწეროს, რომ მითითებული „პროექტი“ (3.22) წარმოადგენს „სამაგისტრო ნაშრომს“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რჩევა #02</u> – მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში გამოირიცხოს მისი განსხვავებული დასახელების (მაგ., პროექტი, პროექტირება, სამაგისტრო პროექტი, სადიპლომო ნაშრომი) გამოყენება. ასევე, დასაკორექტირებელია პროგრამის კურიკულუმში და „ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში“ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში არსებული ჩანაწერები „დიპლომანტი“, „დიპლომის დაცვა“.

პროგრამის კურიკულუმითა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი“ დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა.

რჩევა #03 – მიზანშეწონილია კურიკულუმში გასწორდეს გამოვლენილი უზუსტობები - პროგრამის კურიკულუმში „პროგრამის შემადგენლობაში“ (გვ. 6) კრედიტების რაოდენობრივი მაჩვენებელი (ვერტიკალში), რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვევა რეალურ მონაცემებს (მაგ. “პროფესიულ-პრაქტიკულ დისციპლინათა ციკლი“-ს I სემესტრში მოცემულია 17 ნაცვლად 15-ისა; „პროფესიულ-ტექნიკურ დისციპლინათა ციკლი“-ს II სემესტრში მოცემულია 7 ნაცვლად 4-ისა). ასევე „პროგრამის მოცულობა“-ში მოცემული ჩანაწერი „პირველი წელიწადი 66 ECTS, მეორე წელიწადი - 66 ECTS“ - რადგან პროგრამის შემადგენლობის მიხედვით პირველი წელიწადი მოიცავს 68 ECTS, მეორე კი - 64 ECTS კრედიტს.

პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა.

რჩევა #04 – პროგრამის კურიკულუმში პირველივე გვერდზე მითითებულია, რომ პროგრამა „დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი N4, 18.05.12“, რაც არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ როდის მოხდა პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკცება. ამასთან დაკავშირებით სასურველია არსებული ჩანაწერი დაკორექტირდეს და მიეთითოს მოდიფიცირებული პროგრამის დამტკიცების აქტის ნომერი და თარიღი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა და კურიკულუმში ასახა მოდიფიცირებული პროგრამის დამტკიცების აქტის ნომერი და თარიღი (დამტკიცებულია თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2024 წლის 4 მარტის სხდომის ოქმი№ 10, თსსა აკადემიური საბჭოს 2024 წლის 6 მარტის სხდომის ოქმი № 42). თუმცა „სამაგისტრო პროგრამის ზოგადი დახასიათების“ ველში „ვიწრო სფერო 0731 არქიტექტურა და მშენებლობა“ - ინგლისური დასახელება დასაკორექტირებელია (გვ. 3). კერძოდ ნაცვლად „Engineering, Manufacturing and Construction“ უნდა იყოს „Architecture and Construction“. ამასთან დაკაშირებით, მიზანშეწონილია კურიკულუმში გასწორდეს გამოვლენილი უზუსტობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია კურიკულუმში გასწორდეს გამოვლენილი უზუსტობა - „სამაგისტრო პროგრამის ზოგადი დახასიათების“ ველში „ვიწრო სფერო 0731 არქიტექტურა და მშენებლობა“ - ინგლისური დასახელება დასაკორექტირებელია.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ

კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რეკომენდაცია #03</u> – რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს კურსზე „დაშვების წინაპირობები“.

წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით რეკომენდაცია ძირითადად შესრულებულია. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კურსზე დაშვების წინაპირობა მაინც მოითხოვს დაზუსტებას (მაგ. სასწავლო კურსის „არქიტექტურული ფიზიკის კურსი“ სილაბუსში მითითებულია, რომ „კურსზე დასაშვებად სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს I სემესტრის არქიტერქტურაში ფერი და განათების დიზაინი1“, მაშინ როდესაც ზუსტად ამ დასახელების კურსი კურიკულუმით გათვალიწინებული არ არის; სასწავლო კურსის „არქიტექტურული გეგმარება (ფერის და განათების სტუდია) 2“ სილაბუსის მიხედვით „მაგისტრატურის II სემესტრზე დასაშვებად სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს I სემესტრში არქიტექტურული გეგმარების კურსი. მომიჯნავე საინჟინრო – ტექნიკური, სპეც.საგნები და თეორიული საგნები“, რაც საჭიროებს დაზუსტებას; სასწავლო კურსის „ვიზუალური კომუნიკაციები“ სილაბუსის - ერთ-ერთ დაშვების წინაპირობად მითითებულია „კომპიუტერული CAD და გრაფიკული პროგრამები“). ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში „დაშვების წინაპირობების“ დაზუსტების მიმართულებით.

<u>რეკომენდაცია #04</u> – რეკომენდებულია ყოველი კონკეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნის განსაზღვრა.

წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით დასტურდება, რომ რეკომენდაცია ძირითადად შესრულებულია. თუმცა ერთ შემთხვევაში სასწავლო კურსის მიზანი საჭიროებს დაკორექტირებას. კერძოდ, სასწავლო კურსის „არქიტექტურული განათება 1“ მიზანია: „არქიტექტურული სინათლის ტექნიკა (შუქტექნიკა შეისწავლის ქალაქების შენობების და სხვადასხვა დანიშნულების სათავსოების განათების პროექტირებას და გათვლას, ასევე არსებული გასანათებელი ხელსაწყოების ტიპებს და გამოყენების სფეროების სპეციფიკას; სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს ინტერიერის და ლანდშაფტის განათების პროექტირებისთვის“. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „არქიტექტურული განათება 1“-ს მიზანი.

<u>რეკომენდაცია #05</u> – რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება.

წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით დასტურდება, რომ რეკომენდაცია ძირითადად შესრულებულია. თუმცა ერთ შემთხვევაში სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირება საჭიროებს დაკორექტირებას. კერძოდ, არჩევითი სასწავლო კურსის “არქიტექტურის თეორია, მეცნიერება და კრიტიკა”-ს სწავლის შედეგებში არის შემდეგი ჩანაწერი „ქმნის და ხელმძღვანელობს დარგობრივ დაწესებულებას”, რაც არ დასტურდება კურსის შინარსით. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია, კურსის შინაარსზე დაყრდნობით დაკორექტირდეს სასწავლო კურსის “არქიტექტურის თეორია, მეცნიერება და კრიტიკა”-ს სწავლის შედეგები.

<u>რეკომენდაცია #06</u> – რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები.

პროგრამის კურიკულუმის (იხ.: „სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინი“ სასწავლო გეგმა“, „შედეგების რუკა“, „სასწავლო გეგმა მაგისტრატურა“) და წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით დასტურდება, რომ რეკომენდაცია ძირითადად შესრულებულია. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში კურიკულუმში მითითებული სასწავლო კურსის სახელწოდება არ არის სასწავლო კურსის სილაბუსში კურსის სახელწოდებად მითითებული ჩანაწერის იდენტური (მაგ. კურიკულუმში მითითებულია „პედაგოგიკა“ სილაბუსში - „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, კურიკულუმში მითითებულია „არქიტექტურული გეგმარება (ფერის და განათების სტუდია) 1“ სილაბუსში - „არქიტექტურული გეგმარება 1 (სინათლის და ფერის სტუდია)“, კურიკულუმში მითითებულია „ლანდშაფტური არქიტექტურა“ სილაბუსში - „ლანდშაფტის არქიტექტურა“ და ა.შ.). ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, თავად კურიკულუმში ერთიდაიგივე სასწავლო კურსი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელწოდებითაა მოცემული (მაგ. კურიკულუმის მე-13 გვ.-ზე პროგრამის „სასწავლო გეგმაში“ სპეციალობის (პრაქტიკული) საგნების 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, ასევე სპეციალობის საინჟინრო საგნების მე-4 სასწავლო კურსების სახელწოდებები, კურიკულუმის მე-18 გვერდზე მოცემული „სასწავლო გეგმა მაგისტრატურა“-ს ცხრილში ჩაწერილი შესაბამისი სასწავლო კურსების დასახელებების იდენტური არ არის). ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.

ასევე ცალკეულ შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული კრედიტების რაოდენობა არ ემთხვევა კურიკულუმის მიხედვით კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობას (მაგ. „სინათლის, ფერის და ბგერის ურთიერთობა“ კურიკულუმის მიხედვით 2 კრედიტიანია, სილაბუსში კი მითითებულია რომ კურსი 3 კრედიტიანია. სასწავლო კურსი „მიმდინარე არქიტექტურის ინსტრუმენტები“ კურიკულუმის თანახმად 2 კრედიტიანია, სილაბუსის მიხედვით კი 3 კრედიტიანი). ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული კრედიტების რაოდენობა სრულ თანხვედრაში მოვიდეს კურიკულუმის მიხედვით კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობასთან.

<u>რეკომენდაცია #07</u> – რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „მასალათმცოდნეობა“ სწავლის შედეგები დაკორექტირდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის ჭრილში.

სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების პროცესში დაზუსტდა აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანი, დაიხვეწა კურსის შინაარსი, რომლის შესაბამისადაც, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის ჭრილში გაიწერა სწავლის შედეგები. ასევე დაკორექტირდა კურსის სახელწოდება. ამჟამად ამ სასწავლო კურსის სახელწოდებაა „თანამედროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები“.

<u>რეკომენდაცია #08</u> – რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება.

სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით რეკომენდაცია შესრულებულია.

<u>რჩევა #05</u> - მიზანშეწონილია არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში ზუსტად მიეთითოს სასწავლო კურსის ტიპი და სწავლების სემესტრი.

წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა და შედეგად, ყველა სილაბუსში ზუსტად მიეთითა სასწავლო კურსის ტიპი და სწავლების სემესტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში „დაშვების წინაპირობების“ დაზუსტების მიმართულებით.
- მიზანშეწონილია დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „არქიტექტურული განათება 1“ მიზანი.
- მიზანშეწონილია, კურსის შინაარსზე დაყრდნობით დაკორექტირდეს სასწავლო კურსის “არქიტექტურის თეორია, მეცნიერება და კრიტიკა”-ს სწავლის შედეგები.
- მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული კრედიტების რაოდენობა სრულ თანხვედრაში მოვიდეს კურიკულუმის მიხედვით კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობასთან.

შეფასება:

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რეკომენდაცია</u> - არ არის.

<u>რჩევა #06</u> - მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში („პროგრამაზე დაშვების წინაპირობა“) არსებული ტერმინოლოგიური შეუსაბამობები და პროგრამის საფეხურის გათვალისწინებით „აბიტურიენტების“ ნაცვლად მიეთითოს „მაგისტრანტობის კანდიდატები“ და „ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის“ ნაცვლად მიეთითოს „საერთო სამაგისტრო გამოცდა“.

პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა და შედეგად, პროგრამის საფეხურის გათვალისწინებით დაკორექტირდა გამოვლენილი ტერმინოლოგიური შეუსაბამობები.

<u>რჩევა #07</u> - მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში (კურიკულუმში) მიეთითოს კონკრეტულად რომელი უცხოური ენის ფლობაა მოთხოვნილი B11 დონეზე;

აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა და კურიკულუმში ასახა თუ რომელ უცხოურ ენაში უნდა იქნს ჩაბარებული გამოცდა (ინგლისურში, გერმანულში ან ფრანგულში).

<u>რჩევა #08</u> - თუ დაწესებულება უშვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე და მობილობით პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესაძლებლობას, მაშინ სასურველია აღნიშნული იყოს მითითებული პროგრამის კურიკულუმში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშით და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაიზიარა და პროგრამის კურიკულუმში, „სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობებში“ დეტალურად გაწერა ყველა საჭირო ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რეკომენდაცია</u> - არ არის.

<u>რჩევა #09</u> - შპს „ერდო“-სთან გაფორმებულ მემორანდუმში პირველი აბზაცის ბოლოს შპს „ერდო“-ს ნაცვლად წერია „ნიკოლო და ვაჟები“. სასურველია ამ უზუსტობის დაკორექტირება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შპს „ერდო“-სთან გაფორმებული მემორანდუმით დასტურდება, უზუსტობა დაკორექტირდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს „ერდო“-სთან გაფორმებული მემორანდუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რეკომენდაცია #09</u> - რეკომენდებულია რიგ შემთხვევაში არასწორად მითითებული შეფასების სისტემა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან (შეფასება (D) ნაცვლად „საშუალო“ მიეთითოს „დამაკმაყოფილებელი“; შეფასება (E) - ნაცვლად „დამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „საკმარისი“, შეფასება FX) - ნაცვლად „არადამაკმაყოფილებელი” მიეთითოს „ვერ ჩააბარა“).

> პროგრამის კურიკულუმის (იხ.: „სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა“) და წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით დასტურდება, რომ რეკომენდაცია ძირითადად შესრულებულია. თუმცა ერთ შემთხვევაში, სასწავლო კურსის „თანამედროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები“ სილაბუსში მითითებული შეფასების სისტემა კვლავ არ არის სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თანამედროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები“ სილაბუსში მითითებული შეფასების სისტემა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან (შეფასება (D) ნაცვლად „საშუალო“ მიეთითოს „დამაკმაყოფილებელი“; შეფასება (E) - ნაცვლად „დამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „საკმარისი“, შეფასება (FX) - ნაცვლად „არადამაკმაყოფილებელი” მიეთითოს „ვერ ჩააბარა“).

<u>რეკომენდაცია #10</u> - რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ჩანაწერები - უარყოფითი (FX) შეფასების შემთხვევაში „ხელახლა გამოცდაზე“ გასვლის უფლების ნაცვლად მიეთითოს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.

> პროგრამის კურიკულუმის (იხ. „სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა“) მიხედვით რეკომენდაცია შესრულებულია. დოკუმენტის „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“ თანახმად, რეკომენდაცია შესრულებულია და „სილაბუსებში უარყოფითი (FX) შეფასების შემთხვევაში „ხელახლა გამოცდაზე“ გასვლის უფლების ნაცვლად მითითებულია, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება“. ამავდროულად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა, რათა სრულად გამოირიცხოს უზუსტებები და ყველა სილაბუსში შეფასებასთან დაკავშირებით იყოს მითითებული იდენტური განმარტებები.

<u>რეკომენდაცია #11</u> - რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში და „ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში“ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ მკაფიოდ მიეთითოს შეფასების სისტემა, მათ შორის დადებითი და უარყოფითი შეფასებები, მათი ქულობრივი მაჩვენებლები და წესი, რომლებიც მოქმედებს თითოეული უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

> პროგრამის კურიკულუმის (იხ. „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება“) და დოკუმენტის „საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი“ მიხედვით რეკომენ-

დაცია შესრულებულია. ამავდროულად, მიზანშეწონილია მითითებულ დოკუმენტებში სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ რუბრიკებში გაუქმდეს უარყოფითი შეფასებების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კომპონენტების შეფასების შემთხვევაში (მაგ., FX - ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება; F - კურსი თავიდან უნდა გაიაროს).

<u>რეკომენდაცია #12</u> - რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის (პროექტის) შეფასებისთვის განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიეთითოს მისი გავლენა დასკვნითი შეფასების მიღებაზე.

პროგრამის კურიკულუმში (იხ. „სამაგისტრო ნაშრომის შეფასება“) და დოკუმენტში „საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი“ მიეთითა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მიეთითა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (50%), პირობები რომლებიც მოქმედებს უარყოფითი შეფასებების შემთხვევაში - რეკომენდაცია შესრულებულია.

<u>რჩევა #10</u> - მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს შუალედური შეფასების სხვადასხვა რაოდენობებზე მათი რიცხობრივი მაჩვენებლების გადანაწილების პრინციპი.

პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა.

<u>რჩევა #11</u> - მიზანშეწონილია გაუქმდეს კურიკულუმში და სილაბუსებში მითითებული „დასწრება“ როგორც შეფასების მეთოდი, და მისი ქულა გადანაწილდეს შუალედური შეფასებების სხვა კომპონენტებზე, რადგან „დასწრება“ ვერ იქნება გამოყენებული როგორც შეფასების მეთოდი ანუ „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება“.

პროგრამის კურიკულუმითა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა.

რჩევა #12 - მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში ან სილაბუსებში დაემატოს ჩანაწერი დამატებითი გამოცდის დანიშვნის ვადებთან დაკავშირებით.

პროგრამის კურიკულუმითა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა.

<u>რჩევა #13</u> - მიზანშეწონილია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სილაბუსებში არსებული ჩანაწერი დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობის შესახებ.

პროგრამის კომპონენტების სილაბუსებით დასტურდება, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- დოკუმენტი „საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი“.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თანამედროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები“ სილაბუსში მითითებული შეფასების სისტემა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან (შეფასება (D) ნაცვლად „საშუალო“ მიეთითოს „დამაკმაყოფილებელი“; შეფასება (E) - ნაცვლად „დამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „საკმარისი“, შეფასება (FX) - ნაცვლად „არადამაკმაყოფილებელი” მიეთითოს „ვერ ჩააბარა“).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია კურიკულუმში („სამაგისტრო ნაშრომის შეფასება“) და დოკუმენტში „საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი“ გაუქმდეს უარყოფითი შეფასებების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კომპონენტების შეფასების შემთხვევაში (მაგ., FX - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F- სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი);

- მიზანშეწონილია გაგრძელდეს სილაბუსების რევიზია, რათა სრულად გამოირიცხოს უზუსტებები და ყველა სილაბუსში იყოს მითითებული იდენტური განმარტებები.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>რეკომენდაცია</u> - არ არის.

<u>რჩევა #14</u>- მიზანშეწონილია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

წარმოდგენილი ანგარიშით სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ დაწესებულებამ აღნიშნული რჩევა გაითვალისწინა. შედეგად პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 1 პირით (დაემატა ასოც. პროფესორი ნიკოლოზ აბაშიძე).

<u>რჩევა #15</u>- ზოგიერთ შეთხვევაში CV-ის მიხედვით არ დასტურდება პირის თანამშრომლობა დაწესებულებასთან (მაგ. ეკა ჭაბაშვილი, გია ჩაჩუა, დავით ბუტიკაშვილი, ლია ჩხიკვიშვილი, შოთა გლურჯიძე). ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულებამ აღნიშნული რჩევა გაითვალისწინა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „ანგარიში არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“.
- პროგრამის კურიკულუმი.
- განმახორციელებელი პერსონალის დოკუმენტაცია (CV, დიპლომი).

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

არქიტექრურაში ფერისა და განათების დიზაინი, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნინო ხაბეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი